

# მარადიული მასპინძელი



დავით

კლდიაშვილი

150

**მარადიული მასკინჯელი**

**დავით კლდიაშვილი**

„ივერიონი“  
თბილისი - 2015

**„მარადიული მასპინძელი“**  
(ავტორ-შემდგენელი – დავით გოცირიძე)  
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2015.

რედაქტორი – მაკა ჯონაძე

მხატვარი – ესმერალდა მანაგული

© „ივერიონი“

© დავით გოცირიძე

**მინდა გულწრფელი მადლობა ვუთხრა ქალბატონ მაკა ჯონაძეს!**

გმადლობთ, ქალბატონო მაკა! თქვენ უდავოდ იმსახურებთ სულიდან წამოსულ, გულით გამთბარ სიტყვებს. სამუდამოდ დაგვამახსოვრდება ამ წიგნის მკითხველებს თქვენი დახვეწილი სიტყვები, სითბოთი გაჟღენთილი წინადადებები და ნაკვეთჩხალივით მოგიზგიზე გული, რომელიც თქვენ მწერალ დავით კლდიაშვილს და მის შემოქმედებას უძღვენით.

ქალბატონ მაკას დავესესხები სიტყვებს, მისავე წიგნიდან **„სამოთხე უსიყვარულოდ“**:

**მოდი**, წყურვილზე ვილაპარაკოთ ....

**მოდი**, სიცოცხლეზე ვილაპარაკოთ...

**მოდი**, ნატვრაზე ვილაპარაკოთ, მონატრებაზე..

**მოდი** ნოსტალგიაზე ვილაპარაკოთ..

**მოდი**, სინანულზე ვილაპარაკოთ..


**მოდი**, იმედზე ვილაპარაკოთ, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება...”

სულ ეს არის რაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

**უღრმესი მადლობა ქალბატონო მაკა, მადლობა უსასრულო...**

## მარადიული მასკინკალი

ამ პატარა წიგნს ვუძღვნი ჩემს შვილებს –  
უფროსს ირაკლის, მის მეუღლეს ედდას და მათ  
შვილიკოებს – ალექსანდეს და გაბრიელს. უმ-  
ცროსს – გიორგის, მის მეუღლეს ეკას და მათ  
პატარა ლილიკოს!



## შტრიხები პორტრეტისთვის

მესტიის მუზეუმში ჰკიდია ორმოცი მონამის  
ძველისძველი ფერწერული ხატი, გამაოგნებელი  
იმ განათებით, რომელსაც ფერზე უფრო მეტად  
შუქი ეთქმის. ორმოცი სხვადასხვა ასაკისა და აღ-

ნაგობის სხეული ჩვენს თვალწინ ლღვება, დნება. ისეთი მშვიდი სიმხურვალე მოდის ხატიდან, თითქოს ორმოცი ანთებული სანთელია დასაწვავად გამზადებული, თითქოს საბოლოოდ გაქრობამდე ამ რთული, უამრავი ცთუნებებით სავსე გზაგამოვლილმა ადამიანებმა ჩუმი შეთქმულება მოაწყვეს და თავიანთ უკანასკნელ ამოსუნთქვას ჩასაქრობად განწირული რწმენის პანია ალები ერთდროულად ამოაყოლეს. ალები კი ერთმანეთს შეუერთდნენ და ორმოცი მოწამე სამარადჟამო შუქში დატივეს..

დღეს დავით კლდიაშვილზე ფიქრს სწორედ ამ ხატით ვიწყებ. რადგან მე ვხედავ 1872 წლის კვირიკობის თვეში პირქუშ ზღვაში აყირავებულ გემბანზე ბანცალ-ბანცალით როგორ ეხლებიან ერთმანეთს ბავშვები. ისინი ზუსტად ორმოცნი არიან, მათი აძაგდაგებული სხეული და სული უკვე იწყებს შორეული, უცხო ქვეყნიდან წამოსული სუსხით აცრას. უცხო ენასთან, უცხო სამყაროსთან, უცხო მზესთან შეხვედრის შიშით შეტოტმანებული მათი ფსიქიკა უკვე იწყებს მტკივნეულ დაშლას...“ „ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში წასასვლელად გამოცდაზე უნდა წავყოლოდი. აყოველწლოებით მთავრობს მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან

თავად-აზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში, კორპუსებში. მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევას მიზანს აღწევდნენ ხოლმე, რადგან რუსეთში სამშობლოს მონყვეტილი ბავშვი, ივწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვართ, მაგრამ ერთიანად, თავიდანფეხებამდე გარუსებული. თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველიხარჯისაგან შვილის აღსაზრდელად“.

აი, ამ სტრიქონში უკვე იგრძნობა ქართული ატმოსფეროს, ქართული ყოფის, ქართული ფსიქიკის ნებაყოფლობითი გადაგვარების ის მძლევრი იმპულსები, რომელიც დღეს უკვე თავის კატასტროფულ შედეგებს იმკის...

ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს – უზნეოთ ატირებული ჩვილი, დედის მკერდს რომ ეპოტინება და ჭამას ითხოვს, ცოდვის პატარა ნამცეცითაა დაჭორფლილი, ხოლო მეზობლის ბაღში გადაპარული ხილით უბეგატენილი ოთხი-ხუთი წლის ბიჭს უკვე ღრმა ცოდვა ადევსო...

რელიგიის მკაცრი დოქტრინით თუ ავკაფავთ და გამოვხშირავთ გემბანზე აცურებული პანია ნაფოტების ტყეს, იქნებ ქრისტიანობის ეს დიდი

ქომაგი მართლაც აღმოჩნდეს. იქნებ ეს ორმოცი ბიჭი მართლაც ცოდვილია უკვე. მაგრამ მაინც ნაწავლებ ერთს ხელს და მაინც შევავედრებ მამა-ზეციერს. რადგან ღვთის წინაშე იგი ისევე უბრალო და უცოდველია, როგორც შუაგულ იმერეთში მზის გულზე გასაშრობად გადგმული კაკლით სავეს კალათა. ისევე რეალური და ხელშესახები, როგორც სიმონეთის კოპნია ეზო-კარის ნებისმიერი ბინადრისათვის კალათისაკენ განვდილი ხელი. კაცი იქნება, ქალი იქნება, აზნაური თუ გლეხი, სულერთია, ჩამოირბენს კიბეს მსუბუქად, გაივლის, გამოივლის საკუთარ ეზოში, ჩაყოფს ხელს კალათაში, ამოიღებს მოუჭერს თითებს, გატეხავს და დააგემოვნებს ჯერ ისევ ნორჩ, ნოტიო ლებლებს... გაივლის, გამოივლის, ისევ ჩაყოფს ხელს კალათში...

ერთხელაც იქნება, ის გამორჩეული ამოყვება, ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებს, რამდენადაც არ უნდა უჭიროს ხელი, რამდენიც უნდა უჩაჩქუნოს ქვა. გადავა ხელიდან ხელში, მტევენიდან მტევეანში, როგორც გამორჩეული, როგორც ჯიუტი არსება. ასეთი უცნაური და გაუგებარი, ქვის ასაღებად რომ აღარ დაიხრები, შესანახად რომ მოგინდება და სხვათა საჩვენებლად, ისეთი.

ასეა, კაკალი რომ კაკალია სიკერკეტისა და



დავით კლდიაშვილი და მარიამ მაჭავარიანი.  
ბათუმი 1896 წელი

ხასიათის გამო რაღაც აუხსნელი პატივისცემით, მოკრძალებით განგანყოფს ადამიანს. არ დაგემორჩილება ასე უბრალოდ, არ დაგყვება, არ შემოგეფშვნება ხელში... თითქოს კაცისას არა, თითქოს სხვა ძალას ემორჩილება...

კიევის მილიუტინის სახელობის სამხედრო სასწავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დავითი ბრძანებს, უკეთილშობილესი პედაგოგებით იყო სავსეო, მაინც ამ კაკლებივით შემოეფშვნა ოცდაცხრამეტი გატეხილი ცხოვრება.

ერთი გადარჩა კერკეტა კაკალივით. ეს გადარჩენილი და მშობლიურ ენადავინწყებული ჭაბუკობაში თავიდან ისწავლის ქართულს და შემდგომში ნამდვილ ლიტერატურულ გმირობებს ჩაიდენს.

„– კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

– გარუსების დასამთავრებლად? მხიარული სიცილით ეკითხება უფროსი კაცი ბიჭს.

– არა, მე არ გავრუსდები. – პასუხობს ბიჭი...“

ეს კაცი აკაკი წერეთელია, ბიჭი კი – დავით კლდიაშვილი. ვაჟკაცურად შეასრულა დანაპირები. გარუსდა კი არა და გამორჩეულ ქართველად დარჩა. მის გაუბზარაობას, მის გაუტეხლობას, მარტო ხასიათმა კი არ შეუწყო ხელი, მარტო ჯიშმა და გენმა კი არა, არამედ ორივე ბაბუის, დედულეთისა და მამულეთის იმ ჯანსაღმა გარემომ, რომლის წილში ათეულობით გლეხი, ყმა, გადია, ნათლული, ნათლია, მოჯამაგირე, მეზობელი, ნათესავი, ბებია, ბაბუა, ბიცოლა, მამიდა დააბიჯებდა: დღე და ღამე შრომისა თუ ლხინის მარადიულ

ფუსფუსში გაბმული ადამიანებში დღეისათვის თითქმის გაუგებარი და მიუნვდომელი სულიერი თანხმობა და ჰარმონია სუფევდა. ყველას ერთად კი სიყვარულის ფერი ედო და ამ ფერში გამუდმებით ამოგანგლური იყო პატარა დავითი.

მემუარული ჟანრის ლიტერატურულა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულად დასაძლევია ჟანრია. იქნებ პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ ასეა. რადგან ავტორს ბრწყინვალე მესხიერებასთან, ობიექტურობასთან, თხრობის კარგუნართან, ეპოქის ზედმიწევნის ცოდნასთან ერთად, ყველაზე დიდ ბარიერად მაინც საკუთარი თავი ელობება.

ამ ბარიერს, საკუთარ პერსონას, დავით კლდიაშვილი განსაცვიფრებელი სიიოლით უვლის გვერდს, ვითომ თვითონ არც არსებობდა, არც ყოფილა, არც გაუფლია... და ყველაფერი ეს ხდება ისე, რომ არცერთ აბზაცში, არცერთ წინადადებაში არ ჟონავს და არ იჭყიტება ყალბი თავმდაბლობა.

ბავშვობაში რომ უყვარდათ „პატარა დათიკო“... ეს თურმე იმისი ბრალი ყოფილა, რომ „ადამიანის გულის მოყვარულმა დედამ, ახლო მეზობლების გარდა სხვაც ბევრი მოკეთე, მოსიყვარულე და პატივისმცემელი მოუპოვა ჩვენს ოჯახს.

მამაც, რომელიც სამსახურში იყო ქუთაისში, გულითადი მომხრე იყო, როცა ვინმე სოფლიდან საქმეზე მიმართავდა მას.. ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩემს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშვობა..“

იმას, რომ არ გადარუსდა, დავით კლდიაშვილი იმდროინდელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს — ნიკო ლომოურს, პოლიკარპე ჩხიკვიშვილს და ფარმაცევტ კონია ლორთქიფანიძეს მიაწერს.

იმას, რომ მუნდირში გადაცმულმა ოფიცერმა არ შეასრულა მეფის ბრძანება და გიორგი ზდანივიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლიაო...“ ამას ბედისწერას უმადლის დავით კლდიაშვილი. აკი ქებით აღენილმა და შეცბუნებულმა ტაშის გრიალში გულრწფელად განაცხადა კიდევ: „არავითარი გმირობა არ ჩამიდენია, ბედისწერისაგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე..“

ბრწყინვალე მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ გამარჯვებასაც კი თავის მაგობარს გადააბრალებს: „ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი მაგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობითო...“



პიესების ტრიუმფალურ ზეიმს ლადო მესხიშვილსა და მსახიობებს უმადლის: „ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუფინყარი ნუთები. „დარისპანის გასაჭირიც“ ბედნიერი გახდა. - „დარისპანმა იპოვნა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებულად მოსიყვარულე გამომსახველი – ვალერიან შალიკაშვილი...“

რა გამაოგნებელი სისადავით, რა მხურვალეობით, გზნებით, თანაც ექსპერტის რა ძლიერი ლოგიკით აბათილებს დავითი თავის მემუარებში ყაზბეგის გარშემო ატეხილ ბინძურ მითქმა-მოთ-



ქმას, ამ მეორე დიდი ქართველი მწერლისადმი წაყენებულ უმძიმეს ბრალდებას.. რა გადამდებია ეს დაცვა, რამხელა შუქი, სითბო მოედინება, როგორ აღწევს ჩვენამდე და დღევანდელ ამღვრეულ, ათქვეფილ, გაუფასურებულ, გაბითურებულ ურთიერთობებში, დამრეტილ გაქვავებულ გულებში წვეთი წვეთ როგორ შემოაქვს სულის წამალი — სიყვარული! როგორ მოგათქმევინებს ამ მალამოთი სულს..

სხვისი ნიჭის აღფრთოვანების რა ღვთიური უნარიოთაა დაჯილდოებული ეს ლამაზი კაცი, პარტერიდან რომ შეუთვლის, კი არ შეუთვლის, შეევედრება ევროპიდან ესესაა დაბრუნებულ ახალგაზრდა მომხსენებელს – აწი მომავალი ლექციები რუსულის მაგიერ ქართულად წაუკითხე აუდიტორიასო.. გრიგოლ რობაქიძეც უმაღვე შეუსრულებს თხოვნას მისი გზებისა და ტალანტის დამფასებელ დავითს. სულ მალე ქართულად წაიკითხავს თავბრუდამხვევ ლექციებს „გველის მჭამელზე“, აკაკიზე..

სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართულიო.. აღტაცებულია კოტე ბაქრაძე და მთელი ქართული ინტელიგენცია.

როგორ შეუნთო და როგორ გააფიცვა გრიგოლ რობაქიძის ისედაც ფიცხი წარმოსახვა და-

ვით კლდიაშვილმა. როგორ შეათბო და შემოაბრუნა ქართული სიტყვისკენ ზურგშექცეული არისტოკრატია ერთბაშად..

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო, რომელი ერთი უნდა გავუხსენო ამ მომცრო ტანის ღირსეულ მოხუცს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელებს..

ვერ ჩამოვთვლი, ვერ ამოვწურავ..

მარადიულია მისი ბეკინა, სოლომანი, კაროჟინა.. მარადიულია სოლომანის ჯორიც, მორჩილების, სათნოების, მიმტვევბლობის ბიბლიური ფერი რომ დაადო დიდმა მწერალმა...

ეს ყველაფერი შეიქმნა და დარჩება სამარადჟამოდ, მანამ, სანამ ქართული ენა იარსებებს, მანამ სანამ იმერეთის ფერდობებზე ასკილი არ გადაშენდება.

და მაინც ცოცხალი გინდა რომ გყავდეს ეს კერკეტი მოხუცი, აგერ აქვე, ხელისგანვდენაზე..


რადგან გასაჭირია ნამდვილი პიროვნების, ბატონო დავითო!.. რადგან, ასე მგონია, ჩვენს ნიჰილისტებსა და დაბრმავებულებს ყველაზე უკეთ თქვენი სიყვარულიანი გულისა და ძლიერი გონების წყალობით, ისევ თქვენ თუ ეტყოდით: „არიან

ბაბუ, როგორ არ არიან ნამდვილი კაცები, რა ვუ-  
ყოთ მერე დუჟინობით თუ არ არიან. ეგენიც საკ-  
მარისი აღმოჩნდებიან, თუ თვალს გავახელთ, თუ  
გულებს გავხსნით, თუკი არ გავლანძღავთ, ნდო-  
ბით, სიყვარულით წავაქეზებთ, შევაჩერდებით  
და ვეტყვით - ჩვენ გხედავთ, ჩვენ გვჯერა, ჩვენ  
ველოდებით თქვენს ერთად ყოფნას...

ნეტავი ცოცხალი იყოთ, ბატონო დავით, ნეტა-  
ვი დღეს იყოთ, ამ აზაბზაბებულ, დაბნეულ, შეგი-  
ნებულ საქართველოში!

ნეტავი მიმოდოდეთ როგორც ცოცხალი მხი-  
ლება და რისხვა ღალატის, უზნეობის, გაუტან-  
ლობის..

**მაკა ჯონსაძე**  
„ჩემი დავით კლდიაშვილი“





## გრიგოლ რობაქიძე - წერილები

### დავით კლდიაშვილი

#### პორტრეტი დაწყებული

ქუჩაში მიდის მომცრო ტანის მოხუცი. პალტო აცვია სამხედრო (ნუ თუ ამდენ ხანს არ დაცვდა მუქლუში მაუდი?) თავზე – რუსული ქუდი, მხარბეჭზე – მოთეთრო ყალბახი. მიდის მოხუცი უჯერო ნაბიჯით, ხანდახან გვერდზე გადაქანდება, მაგარი ქარი რომ ამოვარდეს, ნააქცევს კიდეც ამ პატარა ტანს. მოხუცს ხელში კარგა მოზდილი ჯოხი უჭირავს.

შეგხვდება და სალამს აძლევს. მოხუცი მწყრა-

ლად შემოგხედავს, სათვალეს ისწორებს. ალბათ თვალს თუ უწყრება: კარგად ველარ იხედება მოხუცი. შედგება. სახე თითქო ნამტირალეები აქვს. უეცრად გამოგიცნობს ხმაზე და მის სახეს სიხარული ეფინება. მისი შეთეთრებული სახე ამ წამს მზეა თქორში. გაგონდება ქართული თქმა გენიალური: მზე პირს იბანს.

დავით კლდიაშვილი სალამს არ დაგჯერდება: მოგჭიდებს ხელს ხელში და წამსვე იწყებს გულის გადაშლას. მას აქვს პათოსი გრძნობის გაზიარების. გითხრობს ყველაფერს, რაც კი ამ დღეებში უგრძვია. განსაკუთრებით ახარებს სიკეთე. კიდეც უფრო – სხვისი კარგი. უსმენ ამ გულს და გიყვარს სიცოცხლე. ხედავ მინდიას, მთებიდან ბარში ჩამოსულს. უცნოურია - ამბოს დავითი რომელიმე ამბავზე (ამ სიტყვას იგი იმერული გამოთქმით ამბოს). უსმენ ამ უცნოურს.

#### მართლაც უცნაური

უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდა უთუოდ. აბა ნახეთ.

ეკლესიის გალავანში სხედან სოფლელები.

მათ შორის - სერაფიონი. მუსაიფი აღმაცერი და სიტყვამახვილიანი. სერაფიონმა თავისი ძალლი გაიხსენა კუსია.

ახსენა თავისი კუსია – გაისმა დამცინავი სიტყვა ვილაცისი.

რატომ არ ვახსენებ, შენ გენაცვალე. ღმერთმა ნუ დამივიწყოს მისი თავი – უპასუხებს ბესარიონი.

სოფლებში ქალაქიდან მოსული ბიაშვილია პორფილი. ალბათ მის გასაგონად თუ ახსენა სერაფიონმა კუსია. პორფირი მართლაც დაინტერესდა. შერაფიონიც უამბობს (ალბათ ათასჯერ თხრობილს):

დილით, ბატონო, რო ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოიბრუნეს სახლის ყოველ კუთხეს; ერთი ნაქცეული სამზარეულო მაქვს, იქაც მოსუნავს და თუ შეხვდა, რომ სახლში არაფერი არ კეთდება, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოიბრუნეს მეზობლებს. სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ქათამს ფრთას ნააგლეჯს და მოანანწალებს, სად კვერცხს გამონახავს, ხან და ხან ჩადებულსაც არ დამინუნებენო, გადანყვეტს და აგერ, რომ გვგონია, რომ დღეს უსადილოთ ვრჩებით, გადანყვეტილი გვაქვს, – ეს ღვთისნიერი სულდგ-

მული ხელად ამივსებს ცარიელ სუფრას ათასნაირი საჭმელით.. თითქო მეზობლებისაგან ხონჩები მომსვლოდეს!..

სადაც იქნება, გვერდებს ჩაუმტვრევენ იმ შენ კუსიას – გავარდა ვილაც ყმანვილის სიტყვა.

სერაფიონსაც მზად აქვს პასუხი:

მამა ჩემი, ქაიხოსრო გორდელაძე რომ გაცოცხლდეს და რაიმე აწყინოს ჩემს კუსიას, მას ჩავაბრუნებ საფლავში, თვარა სხვა რითი გადამირჩება, რომ ჩემს მაცხოვრებელს რამე მოსწონს!.. ბატონო, სხვა არაფერი შემრჩენია.. ძალლით ვრჩები, იმ ზომამდე მივალნიე პატიოსანმა აზნაურმა..

კითხულობ ამ სცენას ქამუშაძის გაჭირვებაში და არ იცი: იცინო თუ გაშტერდე ამ უცნაურობის წინაშე. ასეთ გროტესკს ესპანიაშიც ვერ იხილავთ.

იტყვი – მოგონილიაო?

არქივების მოყვარულთ მიუთითებ: დაბა ჩხარში, ნიკოლოზის დროს, სასამართლომ მიიღო ასეთი საჩივარი: ამა და ამ გლეხმა, სოფელ წუხარელას მცხოვრებმა, მე, ამა და ამ გლეხს, სოფელ ჩხარი ენერის მცხოვრებს, მომიკლა იშვიათად შავი კატა, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა არც ერთ მწევარს, რადგანაც ზამთარში კურდღელს მიჭერდა.

დავით კლდიაშვილი არ იგონებს: იგი მხოლოდ სახავს.

## ეკალასათვის ჩხუბობენ

იგივე სოფლები რაღაცაზე დავობენ. ეკალაზე დავობენ – ეუბნება პორფირის ერთი აზნაური. ადგილზე დავობენ – უსწორებს მეორე: ეკალა აბა რა სადავოა? ერიჰა! – შესძახა სერაფიონმა, – რავა უცხო კაცივით ლაპარაკობ, ჩემო ივანე! ნეტავი თელი წელინადი კი არა, ნახევარი წელინადი მქონდეს ეს დალოცვილი საჭმელად. პორფირს მაინც არ ესმის, როგორ ნაჰკიდა ეკალამ ეს კაცები. სერაფიონიც უხსნის:

„ნაკიდა კი არა გადაამტერა! მეზობელმა თავის საქარი გაჩეხა ადგილის გასაფართოებლად; შესამატად. საქარი ეკლიანი იყო; გაზაფხულზე მისი მხრით რო აღარ იყო, ეკალას აქეთ დაუნყო პოტინი; მისდგა საქმე მოსწრებაზე, ერთი თვალის დახამხამებაში გაფცქვნეს ეკლები, კვირტებსაც აღარ არჩენდნენ ზედ. შეექმნათ ლაპარაკი. აქითურმა მიზეზად ის დეიდვა, რომ თხელ საქარში ღორი ქათამი, ბატი, ცხვარი დაძვრებაო და ყანა ამომიგდესო – დაუნყო ჩხუბი კაცმაც,



ქალმაც, ბავშვებმაც, ყველამ, ნამდვილად კი ეკალას დაკლებამ ააპილპილა ყველა.“

ორი წელინადი, ერთმანეთს ედავებიან. არა გამოვიდა რა, გარდა იმისა, რომ სარდიონ ქველიძეს იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის ვექილი იქნება, ხან ერთი „უნიკავს“ ქათმებს და ხაჭაპურებს და ხან მეორე.

მოდი და იცინე ასეთი გაჭირვების შემდეგ! მაგრამ სხვა რა გამოსავალია? სიცილი ცოტად მაინც გააქარვებს კუჭის პრეტენზიებს.

## ლორები

ლორიც „უცნოურია“ ამ უცნაურ იმერეთში. ლორი აქ უღლიანია ხშირად, რომ ლობეში ვერ გაძვრეს. მაგრამ ლორიც მშიერია და დამშეულს რა ლობე გაუძლებს. ძვირად ნახავ იმერეთში ლობეს, რომ ნახვრეტი არ ჰქონდეს. ეს ლორის საქმეა. ლორის ოინს ვერ ერევა ცხენის თავიც, მესერზე რომაა ჩამოკიდებული. ლორი თანდათან ხელოვანდება თავდასხმაში და უღლიანიც მოხერხებულად ძვრება ლობის ნახვრეტში. თუმცა ძალის ეშინია. თუ გამოეკიდა „კვესია“ ან „ბროლია“, ვაი მაშინ სანყალ ლორს. ლორი მაშინ „ეკვეტება“ ლობეში, მის კანჭს კი ძალლი ჯიჯგნის. ისმის საშინელი ჭყვირილი ლორის. ორღობეს აწყდება ხალხი. ჭყვირილს ყაყანი ემატება. პარალელურად იმართება სხვა შეხეთქება: ძალლის პატრონის და ლორის პატრონის. ჰაერში გაისმის წყევა და კრულვა, გინება და დამუქრება.

იდილია ტრაგიკომედიაში გადადის.

გალაქტიონის გვერდით მოყვარე ცამოეხახლა. გალაქტიონი ღარიბია, მაგრამ მის მეზობელა სულ არაფერი გააჩნია: ლორები ჰყავს მხოლოდ. ხოლო ლორებსაც უნდა ჭამა და ხშირად იჭრებიან გალაქტიონის ბოსტანში. ყაყანი,

ჩხუბი, დავიდარება. გალაქტიონი და მისი ცოლი ზენათი თათბირობენ: სურთ გამოიგონონ საშუალება ლორების წინააღმდეგ. პაუზა, ღირსი დიპლომატიისა, „რაღაცას ვიღონებ, შე ქალო“ – ეუბნება ქმარი.

მეორე დღეს გალაქტიონი ალექსანდრე შარაქაძესთან გაეშურება, რომელიც თარჯიმნად მსახურობს მაზრის სამმართველოში. მივიდა. შეხვედრა და შებაასება „იმერული“. კიდევ პაუზა. მეზობელი უნდა შემიძინო: ეუბნება ალექსანდრეს გალაქტიონი. ალექსანდრე გაოცებულია. გალაქტიონი უამბობს მეზობლის ამბავს. ალექსანდრეს კიდევ არ ესმის. გალაქტიონი უხსნის:

„ჰო და იმას გთხოვ მიკადრო შენი ღარიბი ნათესავი, მენვიო ჩემს ღარიბ ოჯახში.. ერთი დღე გაატარო ჩემს ქოხში.. შენთვის ეს არაფერია იქნება, ჩემთვის კი დიდად ეღირება, ალბათ დაფასდება. კუთხე მეზობელი გაიგებს, რომ სულ უპატრონოთ არ ვყოფილვართ“.

გალაქტიონი სიტყვას არ ზოგავს:

„თქვენ ოღონდ მობრძანდით ჩემსას, სადილი მიირთვით – დაგინახონ ჩემსას, დაგინახონ რომ თქვენისთანა კეთილი მყავს – მფარველად და სხვა არაფერი“.

გალაქტიონი იმასაც სთხოვს, რომ სასამარ-

თლოს „სეკრეტარი“ თან წამოიყვანოს, ვასილ ივანიჩი.

გამართა სადილი გალაქტიონმა. ცხვარი, ინდოური, ქათმები, გომიჯები, ხაჭაპურები. იშოვა ნითელი ღვინოც. მოვიდნენ სტუმრებიც. კვირა დღე იყო. წირვა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. გალაქტიონმა სტუმრები ეკლესიისაკენ წაიყვანა. გულში ფიქრობდა: მთელმა სოფელმა დაინახოს, თუ რა სტუმრები მენვიენო.

ეკლესიიდან მღვდელიც წამოიყოლეს.

ცაცხვის ძირში შეუდგნენ სადილს. ჭიქას ჭიქა მოყვა. შეთვრენ, ვასილ ივანიჩმა ლეკურიც კი ჩამოუარა. მღვდელმაც შემოიკრა ანაფორის კალთები და ერთი იმანაც „ჩაალეკურა“.

ლხინი პათეტიკაში გადადიოდა, როცა მოისმა უეცრად ტურიოს ყეფა. რა ამბავია? ბოსტნიდან ღორები მორბოდნენ, სუნი თუ ეცათ სადილის – მოვარდნან და სუფრის ქვეშ შეძვრენ. კივილი, რტყმევა, ცემა – თქვენც არ მომიკვდეთ: ფეხსაც არ იცვლიან მსუნაგები. ფათურობენ, საჭმელს ეძებენ.

ძრიალი და უნებლიე სიცილი.

წახდა სადილი. წახდა გალაქტიონი და მისი ოჯახობა.

გალაქტიონი ეხვეწება ალექსანდრეს: ეგებ

ახლა შეუცაცხუნოს საკადრისად ვასილ ივანიჩმა მეზობელს. მაგრამ „სეკრეტარი“ გაღეშილი ეგდო. ალექსანდრე იმედს არ ჰკარგავდა მაინც: გამოიფხიზლებს სალამორელე ვასილ ივანიჩი და მაშინ შეუკურთხებსო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა: ვასილ ივანიჩმა წასვლა აიჩქარა.

ორი კვირის განმავლობაში ღორებმა მოასვენეს გალაქტიონი. შემდეგ ისევ დაიწყეს თავდასხმა.

გალაქტიონმა ისევ თავის „სტუმრებს“ მიმართა. მაგრამ ახლა არა გამოვიდა - რა. მაშინ გალაქტიონმა გადაწყვიტა: პურმარილს არ შევარჩენ მათო. ვილაცას დაანერია „დანოსი“ მათზე, რომ ასე გაიღეშენ სტუმრობაშიო. გალაქტიონმა კიდევ ერთხელ წახა სტუმრები. ეხლა ისინი იყვნენ შეშინებულნი. შინ დაბრუნებული გალაქტიონი სიამოვნებით უამბობდა სალამოს ამ ამბავს თავის ზენათის.

## ნატურალიზმი?

თუ გინდ ნატურალიზმი იყოს. ნატურალიზმი არაა მაიცა და მაინც ხელწასაკრავი, ნატურალისტურ აღებული მასალა ხშირად უფრო ექსპრესიულია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მა-

სალა ნახელოვნების ნატეხია თითქოს: და ასეთია იმერეთიც.

მაგრამ დავით კლდიაშვილის ნატურალიზმი ობიექტივიზმია უფრო, სუბიექტი (ავტორი) მის ნაწერში თითქმის არ ჩანს. ობიექტი (თხრობილი) თავის თავად მეტყველებს.

დააკვირდით ზემოთმოყვანილ ესკიზს (ბაკუ-ლას ღორები). ავტორს შეეძლო ბევრი რამ ეთქვა გალაქტიონის განზილების ხაზით (იმედი გაუცრუვდა საბრალოს და შერცხვენა იგემა). იმედგაცრუებას გალაქტიონი შეჩვეულია. მაგრამ შერცხვენას იგი არავის აპატიებს (საშინელ სილატაკესთან ერთად ამპარტავნობაც ნიშანია იმერეთის).

გალაქტიონი დანოსს აწერიებს ვილაცას. აქაა დავით კლდიაშვილის შიშველი ობიექტივიზმი: ეს დასმენა თითქოს შეპარულია ესკიზში, ისე, ჩუმად, მალულად. შემდეგ: მკითხველი გრძნობს რაღაც უხერხულობას გალაქტიონის მიმართ (დასმენა რაღა იყო?) მაგრამ უხერხულობა წამსვე იხსნება: მკითხველს ელიმება მაღლიანად (შემშინებელნი ეხლა თვითონ დარჩენ შეშინებულნი).

და ასე ყველგან.



ბეკინა სამანიშვილი. მხ. გოგი გოცირიძე

## უდავო შედეგრი

მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“ ქართული ჰუმორის კლასიკური ნიმუშია. ეს ნაწარმოები თითქოს „უბრალოდაა“ შედგენილი. ნაცადი თვალი კი აქ რთულ კომპოზიციას ხედავს.

თავიდანვე ავლნიშნავ სამ მომენტს:

პირველი: თემა თავისთავად პატარაა, მაგრამ განვითარებადი – იგი თანდათან იზრდება.

მეორე: ყოველი შემდეგ დართული მომენტი ულოდნელია. ეს იწვევს დინამიურ უცხოობას.



მესამე: ყოველი ახალი ელემენტი ნაწილია მთელის და ამავე დროს საკუთარი თემა.

ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაურია. ჰყავს ერთი ვაჟი, პლატონი. პლატონი ცოლშვილიანია. ამბავი ყოველდღიური. ბეკინა ქვრივია. ესეც ჩვეული ამბავი. ქვრივი მოხუცი ჯერ კიდევ „მაგარია“: ცოლის შერთვა სურს. გაუგონარი არც აქაა არაფერი. მაგრამ... აქ იწყება კვანძი მოთხრობის: შვილი რომ ეყოლოს და ისიც ვაჟი?! მერე რა? სწორედ ამ კითხვით იხსნება დრამატიზმი. ახალი ვაჟი მიწის მოზიარე გახდება, მიწა კი ისედაც ცოტა აქვს პლატონს. მკითხველისთვის უკვე ნათელია პლატონის წუხილი.

ამ დასაწყისშიც უკვე შემოდის ერთი ხაზი, რომელიც ზემოხსენებულ სამ მომენტს ერთნაირად ახასიათებს: პარალელიზმი ხუმრობის და გაჭირვების (ვის არ მოგვრის ღიმილს ბერი – კაცის აკვიატება – ცოლი მიწადა და ვის არ დააფიქრებს პლატონის შეწუხება – ვაი თუ მამას ვაჟიშვილი ეყოლოს?) ეს პარალელიზმი ახალისებს „სამანიშვილის დედინაცვალს“ თავიდან ბოლომდე. თანაც თანგავს იმერულ ეპოპეას.

გავყვეთ კვალ და კვალ.

რა ჰქნას პლატონმა? უეცრად აზრი დაებადება: დიდებული ქვრივი შერთოს ცოლად მამას,

ისეთი ქვრივი, რომელიც ორჯერაა ნაქვრივები და რომელსაც არც ერთი ქმრის ხელში შვილი არ ჰყოლია. მკითხველი უკვე იცინის. ამ პირობას კიდევ უნდა დაერთოს ერთი რამ: ქვრივი ისეთი უნდა მოინახოს, რომელიც როგორც პირველ ქმართან ისე მეორესთან სამი წელი მაინც ცხოვრობდა. სამი წელი მინიმუმია, რომ მესამე ქმარის ხელშიც ქვრივი უშვილოდ დარჩეს. მკითხველი კიდევ უფრო იცინის. ხოლო სიცილი ხარხარში გადადის, როცა მკითხველი ტყობილობს, რომ მაშვალის როლში თვითონ პლატონი გამოდის.

იწყება ქვრივის ძებნა. ორჯერ ნაქვრივები ქალის ძებნა უდრის „მკვდარი სულების“ ძებნას.

პლატონი აზნაურია, მაშასადამე პატივმოყვარე. ფეხით ვერ ივლის. ცხენი არ ჰყავს. გამოართვა ცხენი მეზობელს. ცხენი გამხდარი, გაძვალტყავებული გამოდგა (ესეც „როსსინანტი“ იმერეთის). კიდევ ერთი დეტალი. მოსართავს მოკიდა ხელი თუ არა, პლატონმა შენიშნა, რომ აბზინდს ენა არ ჰქონებია. „მეიტა, მელანო, ჩხინკი იქნება რამე“ – შესძახა პლატონმა. დაამაგრა მოსართავი ჩხინკით. ეს „ჩხინკი“ ესსენციანა მთელი მოთხრობის.

გაუდგა გზას. სოფელს რომ გასცილდა, ჩამოხტა: გაიგდო წინ გახრეკილი ცხენი ნკეპლის ცემით. მაგრამ უბედურება: მას დაედევნა სოფ-

ლის „ატუკანტი“ – ივანე გვერდევანიძე. აქ დავით კლდიაშვილს დაუფინყარი დეტალი აქვს შეტანილი: „ქოლგით ილლიის ქვეშ“. აქ ეს დეტალი საკმაოა სოფლის ვექილის სახასიათოდ. მაგრამ მთავარი სხვაა: ვექილი ცხენზე ზის და ცხენს არა უშავს რა. პლატონი ბედს იწყევლის: ეხლა თვითონაც უნდა შეჯდეს ჭახრაკზე .. შეჯდა კიდეც და იწყება “როსსინანტის” ძუნძული. მკითხველი იცინის. მაგრამ უბედურებას კარგი მხარეც აქვს (ეს ორმაგობა ყველგანაა დავით კლდიაშვილის ნაწერში): გამოლაპარაკებისას პლატონი ტყობილობს ვექილისგან, რომ სოფელ ქვედუღეთში ერთი ქვრივია, როგორსაც იგი დაეძებს. ეს ხდება ისე, ში-გაშიგ: ვექილმა არც კი იცის პლატონის გადანწყვეტილება.

გამოვიდა: ეს შეხვედრა არ იყო „უბრალო“. ავტორმა აქ ორი მხრით აიღო ლელო.

პლატონი ეწვევა თავის გათხოვილ დას, დარიკოს. გაუზიარებს აზრს. ამ დროს კირილეც მოდის, „გადაკრული“. ეს კირილე პლატონისთვის სჭირდება, მაგრამ თავის თავად იგი უკვე დამოუკიდებელი თემაა: უდარდელი, ხალისიანი, ზარმაცა, მოქეიფე, მოჩხუბარი „ატროვებული“, ატეხილი, ავი (უფრო სიხალისისგან). კირილეს ხითხითს საზღვარი არა აქვს, როცა პლატონის

„მისსიას“ შეიტყობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მაშვლად თვითონ პლატონს ხედავს. სახუმრო ამბავი მისთვის მისწრებაა და მზადაა გაჰყვეს ცოლიძმას.

„ვძებნოთ, პლატონ, ვძებნოთ! ხა, ხა, ხა! ჩემს დღეში, ამგვარ უცხო საქმეზე არ მივლია და აქედან ვიცი, რომ ბევრი გასართობი მოგველის! რამდენ დედაბერს სანატრელად გავუხდდი უშვილოდ ყოფნას... ხა, ხა, ხა.“

აქ ავტორი მეტად დამახასიათებელ ხვეულს აკეთებს (ეს სხეულიც ორმაგია: გულისხმიერია, როგორც კირილეს ცხადებისთვის, ისე პლატონიც საქმისთვის). კირილემ უეცრად ხელი შემოირტყა შუბლზე. „რა იყო?“ ეკითხება პლატონი. კირილე არ აძლევს გარკვეულ პასუხს. შემდეგ, როგორც იქნა გამოტყდა, რომ საფათაძესთან ქორნილშია დაპატიჟებული. პლატონს გულს მოეშვა: ეგებ თავი მიმანებოსო. აქეზებს – ეწვიოს. მაგრამ კირილე უარობს. „აბა მე ვბრუნდები და ხვალ წავალ სალომესთან“ – ამბობს პლატონი. ამ უკან – დაბრუნების კირილეს ეშინია: დარიკო ამიკლებსო. რა ქნან? არც ერთი არ თმობს.

შემდეგ კირილე ხრიკს მიმართავს: მოდი, ორივე მივიდეთ შაფათაძესთანო. პლატონი არ ნებდება, მაგრამ საშველი აღარაა და ბოლოს თანხმდება.

გამოვტოვოთ ქეიფი. თუმცა თავის თავად ეს-  
ეც საინტერესოა. გამოვტოვოთ ჩხუბიც (აუცი-  
ლებელი დამატება ყოველი ნადიმისა იმერეთში).  
აქ აღსანიშნავია მხოლოდ ჩხუბში მიფხრენილი  
ჩოხები, რომელსაც დილას ალამბვინებენ. ეს დე-  
ტალი საუცხოვოა. კირილეს კიდეც უნდა ქეიფი,  
მაგრამ პლატონმა არ ჰქნა. ეხლა კირილეს სატი-  
რალში მოუნდა წასვლა (ესეც დიდებული დეტა-  
ლი კირილესთვის – სულერთია ქორწილი იქნება  
თუ სატირალი, ოღონდ დრო გაატაროს.)

როგორც იყო გაემგზავრენ სალომესკენ. თა-  
ვი დავანებოთ კირილეს ახვინტრიშებს და გულ-  
მოსვლას (გაიქცა გაცხარებული სალომეს სახ-  
ლიდან.)

აქ საინტერესოა არისტო ქვაშავაძესთან შეხ-  
ვედრა. არისტომ გაიგო პლატონის საქმე (შეხუ-  
რებულმა კირილემ წამოისროლა სიტყვა, სანამ  
გაიქცეოდა). არისტო ქვაშავაძეც ღარიბი „აზ-  
ნოულიშვილია“, მაგრამ გაქნილი და გაქლესილი.  
გაიგო თუ არა, იწყო ხელების შმუშვნა: საშოვა-  
რი იყნოსა შორიდან. შესანიშნავია არისტოსა და  
პლატონის დიალოგი (არისტოს რეფრენი „– კაი  
დაგემართოსთ“ ხომ შედეგის წვეთია). თურ-  
მე ის ქვრივი, რომელზედაც ვექილმა მიუთითა,  
არისტოს მამიდა ყოფილა, ბრეგაძეზე მითხოვი-

ლი. პლატონმა ამცნო გადაკვრით ივანე გვერდე-  
ვანიძესთან შეხვედრა. არისტო აილენა: ვაი თუ  
იმ წყეულმა აგინა ქალიო – და შეუტია აჩქარე-  
ბით ვექილის სახელს. მაგრამ როცა გაიგო, რომ  
ივანეს მამიდამისი ცუდად არ უხსენებია, დარ-  
ბილებით მიმართა პლატონს: „ასე დაგენყო, შე  
დალოცვილო, თავიდან... ტყვილა გამალანძღვიე  
ნათესავი კაცი ...“

(ჰო, „ეს ასე დაგენყო, შე დალოცვილო“: ამ  
ფრაზაში მთელი იმერეთია მოცემული - სახის  
მეტყველებით, ხმის ტემბრით, ფესტიკულაციით,  
და ვინ იცის, კიდეც რით).

არისტო თითქოს ამ საქმიდან არას გამოე-  
ლის: „ისე“ ჰპირდება პლატონს დახმარებას. მაგ-  
რამ ყური დაუგდეთ, თუ როგორ ებაასება იგივე  
არისტო სალომეს პირისპირ: ურჩიე, შენი ჭირიმე,  
პლატონს ბრეგაძის ქალის თხოვაო. როგორ იმან-  
ჭება, როგორ იგრიხება. თურმე „საქვრივოს“ გა-  
მოელის სანყალი. ნვერებწამოშვებული არისტო,  
ყელმოგრეხილი არისტო „ყანყრატოში მარცხენა  
ხელის წავლებით“: დაავიწყდება ვინმეს ეს ფიგუ-  
რა და ეს პოზა?

აქაც ორმაგობაა.

საქმე გაიჩარხა. წავიდნენ ბრეგაძეებთან. ავ-  
ტორი ჯერ კიდეც არ მიდის საგანთან პირდაპირ.

არისტოს სურს ცხენებს დახედოს (დარწმუნებულია არას აჭმევენ). გადის ეზოში. ქათამს იჭერენ. ქათამს ძალი მისდევს. ჭყვილი, კივილი, ხრი-ალი. მკითხველი იცინის. უეცრად რაღაცამ გა-ისისინა ჰაერში და არისტოს ქათმის მიმართ გა-დასროლილი ჭოლოკი მარჯვენა კუნთში მოხვდა. მკითხველი ხითხითებს. არისტო კი იწყევლება:

„ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა.. ერთი წრი-პა ქათმის გულისათვის.. ამოგივარდეთ ოჯახი...“

მკითხველი ისე იცინის, რომ არისტოს ტკივი-ლისათვის აღარ სცალია.

ნახეთ ქვრივი, იგი თანახმაა. მაგრამ ავტორი ამით არ კმაყოფილდება. საჭიროა კიდევ ერთი მოულოდნელობა. ასეთიც გამოჩნდება. ქვრივი კარგი მომუშავე ქალია და ბრეგაძეები მას ვერ შეეღვეიან. რაღა დარჩა? მოტაცება? მკითხველი კიდევ იცინის. ორჯერ ნაქვრივების მოტაცება – ეს ხომ ფანტასტიკაა თვითონ. ქალი მიდის სხვა-გან სტუმრად, მოიტაცებენ. კირილევ ხომ ასეთ რამეებისთვის არის შექმნილი.

ხოლო ავტორი არც ამით ამთავრებს.

პლატონის ცოლი თვალს არ აცილებს „პატარ-ძალს“, პლატონიც. გაიარა ხანმა – და ნახეთ სი-ნამდვილე, ერთსა და იმავე დროს სასაცილოც და საშინელიც: ქვრივი, რომელიც პირველი ქმრის

ხელში იყო 15 წელი იყო უშვილო და მეორე ქმრის ხელში 6 წელი, ბეკინას ხელში პირველივე წელს დაორსულდა. მოდი და ნუ იცინებ! მოდი და ნუ იჯავრებ!

პლატონი გადაირია. სიზმარში სულ „გაყო-ფას“ ხედავს. ცოლი მისი სისინებს. ბეკინა დარ-ცხვენილია. კიდევ უფრო „პატარძალი“.

ერთი იმედი დარჩა პლატონს მხოლოდ (ამ შემ-თხვევაშიც ბეკინასაც): შესაძლოა ამ წყეულმა დედაკაცმა ქალი შვას და არა ვაჟი. მაგრამ აქაც ძლევს მოულოდნელობა: ორჯერ ნაქვრივებს ვა-ჟი ეყოლა.



...და მოთხრობა დასაწყისის უბრუნდება თავისას: თუ რამდენად მართალი იყო სანყალი პლატონის წინაგზნება.

ასეთია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს უდავო შედეგური ქართული ჰუმორის.

## მარტო სიცილი?

არა, ხუმრობა კარგია, მაგრამ დავით კლდიაშვილს სხვა რამ აქ მასში გახვეული (ყველგან): ბედი ადამიანის. სამი ელემენტი: მიწის სიცოცხავე უიკიდურესი, კერძო საკუთრების გზნება ძვალსა და რბილში გამჯდარი, თანაც არა - ჩვეულებრივი თავმოყვარეობა (თუ აზნაურული ამპარტავნობა) - რა უცნაურობას არ წარმოშობს ეს სამი ელემენტი ერთიმეორესთან გადახლართული? დავით კლდიაშვილი ამ უცნაურობას სახავს. სახავს ჰუმორის მადლიან სიტყვასა და სახეში. მაგრამ ამ სიტყვისა და სახის „უკან“, სადღაც კუნჭულში, იმალება ავტორის გული, რომელიც ადამიანის ტკივილს ვერ ივინყებს.

ბეკინა გარდაიცვალა.

მომრიგებელ მოსამართლესთან ხშირად დაიარება ერთი დედაკაცი პატარა ბავშვით. „ეს დედა-

კაცი გულდამწვარი უამბობს ხოლმე ნაცნობთ და გარს შემოსეულ მაყურებელთ თავის გაჭირვებას, უსაშუალობას და მწუხარებას, რაც მათ, ორთავე დედაშვილს, ადგიათ მისი გერის, პლატონ სამანიშვილისაგან, რომელმაც აღარც ლობე შეარჩინა აღარც საზღვარი, აღარც ადგილი და იძულებულს ხდის სანყალ მოხუცებულ ქვრივ დედაკაცს ინანნალოს ყველა კვირა სასამართლოში“.

ეს სიტყვები მოთხრობის მორცხვი „პოსტ-სკრიპტუმითაა“.

## მხატვრული დეტალები

დავით კლდიაშვილს ძალიან ემარჯვება დეტალების ხმარება, რაც ძარღვია თანადროული პროზის.

მრავალი მაგალითებიდან:

„პატარა, თავშიშველა და ფეხშიშველა შვიდი - რვა წლის ბიჭმა, პარკით გვერდზე, სახრით ხელში, შემორეკა ეზოში რამდენიმე სული საქონელი“.

„პარკით გვერდზე, სახრით ხელში“ - ეს უკვე ქმნის ხელსახებ კონკრეტობას. შემდეგ: „ამას უკან შემოჰყვა გრძელწვერა, შეხსნილი ახალო-ხით. ძელით მხარზე, ღვედში ნაჯახ - გარჭობილი,

რომელმაც ერთი გაჯავრებით შეჰყვირა ბავშვს, როცა საქონელი ქოხისკენ გაეშურა”.

„შეხსნილი ახალოხი“, „ძელი მხარზე“. „ღვედში გარჭობილი ნაჯახი“ – ძალიან მეტყველი დეტალებია.

კიდევ იქვე:

„ცოტა ხნის შემდეგ, ქოხის მახლობლად, გადასაბიჯზე გადმოაბიჯა მხარზე შეშა-გადებულმა კაცმა“.

სიტყვა „გადასაბიჯზე“ ისე საზღვრავს ადგილს, რომ ნათლად ხედავ უკანასკნელს. როცა გადასაბიჯზე „მხარზე შეშა-გადებულ“ კაცი გადმოაბიჯებს.

სურათს ვედარ მოიცილებ თავიდან.

ეს დეტალები რამოდენიმე სტრიქონის მანძილზეა დანვნიებული.

მეტი მაგალითი საჭირო არაა.

## პორტრეტი გაგრძელებული

„უცნოურია“ აგრძელებს სიტყვას დავითი. უსმენ გულდასმით. ხანდახან ცხარობს: ფიცხია (მხოლოდ არა სიავით). „გაფიცხებისას“ გგონია ყოველ საზღვარს გადალახავს. მაგრამ რამდე-

ნიმე წუთის შემდეგ ცხრება, ნელდება. ამ დროს ხელს მიიტანს გულთან (აღბათ ძალიან ფართხალებს), და თუ სკამია სადმე, მიჯდება. ფერი ეცვლება, ფითრდება, თვალებს ხუჭავს: „გული ნაუვიდა“ გული: ჩიტის გული ნამდვილი. ზის ასე რამდენიმე წუთს, ოდნავ სუნთქავს. ჩიტის გული ისე უბრუნდება შემდეგ და დავითი იხსენებს ნელი და მკრთალი ხმით ტკივილს.

ყოველთვის გულისხმით უსმენს იგი სხვის ლაპარაკს. განსაკუთრებით – კამათს. ქართველი ცხარე ტემპერამენტისაა და ხშირად „გაცეცხლებული“ ლაპარაკობს. დავითს ეს სიცხარე გულმოსვლა და თავდასხმა ჰგონია ხანდახან. მაშინ იგი ხელს გააქნევს და ჩაილაპარაკებს: „არა, არა“, თანვე ოდნავ იღიმება.

არის შემთხვევა, როცა იგი გაცხარებულ მოკამათეს ხელს ჰკიდებს და მთელი ტანით ტანს ეკვრის ოდნავ გადაქანებული. ამ დროს მისი ღიმილი – ბავშვისაა. თვალებიც ხალისდებიან: ატყობ მხოლოდ, რომ ცრემლები მზადაა. გაცეცხლებულ მოკამათეს ცეცხლი უკვე ელევა.

დავითი დიდი მელომანია.

მინახავს: სახლში მიჰყავთ უეცრად გამხდარი ავად. საღამოს ხედავ: ოპერის თეატრში ზის, დირექტორის ლოჟაში. არ სტოვებს არც ერთ სანი-

მუშო სპეკტაკლს. და მერე:როგორ უსმენს მუსიკას!? თრთის, ცახცახებს, თვალებს აფართოებს, ცრემლი სდის: თითქოს მთელი ტანი მუსიკალური ტალღებით აევსო. ჭეშმარიტად დავითი ნაზი და ნერვიული ჭურჭელია მუსიკის. როცა უცქერ ამ დროს გემინია, ჭურჭელი არ დაიმსხვრეს (თვითონ კი ამის არ ეშინია: უფრო ძლიერად გადმოხეთქავენ მუსიკის ნაკადები).

თუ რომელიმე მომღერალი მოენონა აბა მაშინ უნდა ნახოთ იგი, თუ გინდ მეორე დღესაც. დავითი „აყვანილია“ ამ დროს აღტაცებით და აღარიცის, რით გამოთქვას იგი. ჯერ ისედაც არ ერჩის სიტყვა და ეხლა იგი სულ აღარ ემორჩილება. მაგრამ თუ გასურთ მისი ნამდვილი არსი, ეს უთქმელი სიტყვაა, სწორედ ამ წამს უნდა უსმინო მას.



## დავით კლდიაშვილი – მტვრიანი გზებისა და ორლობების რომანტიკა

დავით კლდიაშვილის გმირები ბევრს მოგზაურობენ, დადიან, დანანალეხენ, გზაში არიან გაბმული – ზოგი ჯორით, ზოგი ნათხოვარი ან, უფრო იშვიათად, საკუთაერი ცხენით, ზოგი ურმით და ზოგიც ფეხით. ეს მოგზაურობა ყოველთვის იძულებითია და არც არაფერ სიამოვნებას ანიჭებთ მათ. მამა ზოსიმე „დანანალეხს“, ხან დღეში რამდენჯერმე, თავისი სახლიდან იმ სოფლამდე, სადაც მრევლი ჰყავს და მოთხრობის დასაწყისშივე ჩივის კიდევ: „იცის ღმერთმა, რომ ვწუხვარ, მეტად ვწუხვარ ამ ჩემის მდგომარეობისათვის, მაგრამ სახსარი ვერ მიპოვნია... ვარ გაბმული ამ გზაში, დავნანალეხ ჩემი სახლიდან ამ თქვენ სოფლამდინ, მარტო გზას ვუნდები“. ბუნებრივია, რომ კარდაკარ დაძრწის სოლომან მორბელაძე, ხელობაა მისი ასეთი, მაგრამ ისიც ჩივის „რალაზედ მარბენიებდი, შე დალოცვილო, ამდენ ხანს? მუცელში ნალველი ჩამექცა, გული კი გამისივდა

ამდენი წანწალიც, თავი გამისკდა გაუთავებელი ლაპარაკით, ჯორი მოვკალი ამასა და იმას შუა და ახლა მეუბნები, არ შემიძლიაო?“ უხალისოდ, გულჯავრიანად შეუდგა გზას ორნაქმარევი სადედინაცვლოს მაძიებელი პლატონ სამანიშვილი. „გახრეკილმა ცხენმაც“ თითქოს იგრძნო პატრონის განწყობილება და მხედარი მალე იძულებული შეიქმნა ჩამოქვეითებულიყო: „გულდამწვარმა ყველასაგან ამგვარის დაჯაბნებით პლატონმა გაიგდო წინ ეს გახრეკილი პირუტყვი და, უკან ფეხდაფეხ მიმყოლი, გრძელის წკეპლის ცემით მიერეკებოდა ჯახრაკ ცხენს“. გალაქტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგზაურობს მთელი შავი ზღვისპირეთზე დარისპანი. გზაზეა გამდგარი როსტომ მანველიძის ოჯახი: „ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ისე გადაიკარგა სადღაც. მეუღლე მისი, მარიამი, და როგორც ის, ისე როსტომთან შეურაცხვენელ მეუღლეობაში ნაყოლი ოთხი ქალიშვილი, ოჯახს სრულიად გულს არ უდებდნენ, სრულიად მას არ დაეძებდნენ, მუდამ საკუთარ ოჯახს გარეთ იყვნენ, გაურბოდნენ თავიანთ უხალისობუდეს, მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ: ხან ნათესავებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცნობებში“. „მოსიარულე ადვოკატები“ არიან პორფირი ბიამ-

ვილი, ივანე გვერდევანიძე, სარდიონ ქველიძე.

თავად ცხოვრებამ, ცოცხალმა სინამდვილემ მისცა მასალა დავით კლდიაშვილს ექცია **მოგზაურობა** თავისი მოთხრობების სიუჟეტის ერთ - ერთ საყრდენად და თემატურ მოტივად. „სამანიშვილის დედინაცვალში“ **მოგზაურობა**, როგორც მოტივი და სიუჟეტის ბიძგის მიმცემი, იმდენად გამოკვეთილია, რომ იგი ამ მოთხრობის ჟანრის განმსაზღვრელია.



სიმონეთის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო მხ. გოგი გოცირიძე





## ო ფ ო რ ტ ი

### დავით კლდიაშვილს

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჭრებით,  
მე ვუმზერ, ვინრო შარებს, შეშის ბოგირებს,  
აგერ ირინე მენვრილმანეს აცდენს ვაჭრობით,  
მღვდელი ზოსიმე დამშეულ ჯორს მიაბოგინებს.

თავლა და კალო, გალესილი ჩქარი ნამგალი,  
ლობეში ღორი უღლიანი ღრიალებს მწარედ  
და სოლომანი, გაცრეცილი მხნე მაჭანკალი,  
ჭიშკართან ყვირის: “მაინძელო, გამოდი გარეთ!”

### პაოლო იაშვილი




სხედან: (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. თიციან ტაბიძე, 2. გრიგოლ ვეშაპელი, 3. იროდიონ ევდოშვილი, 4. ვარლამ რუხაძე, 5. აკაკი წერეთელი, 6. დავით კლდიაშვილი, 7. ლადო დარჩიაშვილი, 8. იასონ ნიკოლაიშვილი, 9. ისიდორე კვიციანიძე. დგანან: (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. გალაკტიონ ტაბიძე, 2. აკაკი სვანი, 3. ბ. გელაზიანი, 4. ილია ბახტაზე, 5. იაკობ კალაძე, 6. მიხა ჯანოევი (ნემო), 7. თეოფილე ხუსკივაძე, 8. კონსტანტინე გამსახურდია, 9. ჯაჯუ ჯორჯიკია, 10. დავით მებუკე (ცვარნამი), 11. ლელიკო ჯაფარიძე.  
ქუთაისი, 1914 წლის 29 მაისი.



## დავით კლდიაშვილის ეზო

რომ დაამძიმა სულელები ეგზომ,  
გადაიარა ღრუბლის იმ ფარამ,  
მე ვუდარაჯებ დავითის ეზოს  
და უნაგირას კალთა მიფარავს  
თანდათანობით მოვდივარ ახლოს,  
ცაო, ფათერაკს არ უშინდები,  
შენ ტაძარი ხარ, დავითის სახლო,  
და ამ ტაძარში ლოცვით ვმშვიდდები.



მწერლის პირადი ნივთები

## გენო კლდიაშვილი



სიმონეთი. დავით კლდიაშვილის სახლი - მუზეუმი



ქუთაისი. 1913 წ. ი. კვიციანი კანტორა




ერთხანად ჩემო მძრახო,  
ლისსიქიურო დედაო!  
გხედავ, რომ შამრიგებინარ,  
მით შენთან სალამს ვბედაო.

## უკვდავება

პატარა ირაკლის –  
დავით კლდიაშვილის შთამომავალს

რა სიყვარულით მიმონებთ, მთებო,  
აქ სიმაღლეებს ვეღარ დავითვლი..  
პატარა ბიჭო, სიმონეთელო,  
დღეს შენში ცოცხლობს დიდი დავითი.  
ახლა სხვა დროა, მზეს ვეფერებით,  
გალობს და გალობს ჩიტი ღაბუა,  
ჩვენი წარსული, მუქი ფერებით,  
კარგად დახატა დიდმა ბაბუამ.  
ჩვენი წარსული ვინ მიმოთელოს,  
აქ უამრავი მზეა და მითი...  
მომავლის ბავშვო, სიმონეთელო,  
შენში იცოცხლებს დიდი დავითი.

**განო კლდიაშვილი**



## დავით კლდიაშვილი

გაშლის ქართველი მამა პაპათ ძვირფას სურათებს  
და საუკუნეს მეცხრამეტეს მიაყურადებს...  
„ბრძენი ილია, გმირი ვაჟა, ცეცხლი აკაკი“  
ვიციტ ცხოვრების დიდებულის მათის ავ-კარგი;  
ვიციტ რას იქმდა უკვდავების ღირსი სამება,  
ბარათაშვილის, მარტოსულის, ვიციტ წამება,  
კი, ყველა ვიციტ არდათმობის, თმობის, მიყოლის,  
ორბელიანის გენერლობაც ვიციტ გრიგოლის,  
მაგრამ ამ მკაცრმა, თვალჭროლამ და მიმინოს მსგავსმა,  
სერვანტესივით გამხდარმა და გამხმარმა კაცმა,  
ვინ, ვინ უმადლის, ანუ, ვკითხო, ვინ მეტყვის ახლა,  
სიცოცხლის რისკით სხვაზე მეტი კაცურად რაც ქნა?  
შეფს „ჩერნომორსკი ვესტნიკისას“, რედაქტორს შავბნელს,

ჩვენს ქართველ ხალხზე დიდმეცრობლურად აუგის  
მჯღაბნელს,  
ვინმე პალმს გვარად, მიაფერთხა ცხვირ-პირში ზიზლით  
ხელთათმანი და გასწორება მოსთხოვა სისხლით...  
მაგრამ ამ კაცმა, ვინც დაგვეჯღაბნა ბარბაროს ხალხად:  
ნუ, იტყვი, თურმე, მიცვალებულს ჩვენ ცუდად ვმარხავთ,  
არა საჩქაროდ, წესისამებრ ძვირფასის მათის,  
არამედ ვუხდით პარაკლისებს, მივაგებთ პატივს,  
კი, კი, ამ ჩვარმა, რა მიადგენ გმირი რაინდის  
სეკუნდატები კლდიაშვილის, დიდი დავითის  
შეშინდა, დაფრთხა, არ ინდომა შებრძოლებოდა და,  
რაკი წამხდარს კავკასს აღარ ედგომებოდა,  
მიხიკ-მოხიკა ხურდა-მურდა, დაზოგა ტყავი  
და, ლაფდასხმული, ოდესაში ამოყო თავი...  
ხოლო ვინ იყო კაცი იგი, ვისი დამარხვაც ღირსი  
პატივით არ მოსწონდა ჩვენს მტერს ხმამაღლა?  
გამოსათხოვრის ნაცვლად ერზე პასკვილს სტამბავდა,  
ვის აგინებდა აბდაუბდას თახსირს ლამბავდა?  
კაცს ფილოსოფოსს, კაცს ზეგარდმო ნიჭით ხვავრიელს,  
მას, მამას წმინდას, ეპისკოპოსს, მამაც გაბრიელს,  
ვისი სახელიც რუსეთს იქით, ბრიტანეთს ჟღერდა,  
დობროლოუბოვი მორიდებით ვის წიგნზეც წერდა,  
ვის ნემთს ილიამ თაყვანი კადრა და ვისაც სიტყვა  
ერის მამის დაადგა ნათლად...  
რა აწუხებდა, გულის რა ჩხვლეტდა რედაქტორს შავბნელს?

რა არ მოსწონდა მეფის სატრაპს, დამსმენს და მჯღაბნელს?  
სიცოცხლე ერის, კი, დღესავით არის ნათელი  
და სხვა თუ მიხვდა, მიმხვდარია ამას ქართველი,  
გაშლის პოეტი მამა-პაპათ ძვირფასს სურათებს და  
ქარაშოტებს იმპერიულს მიაყურადებს.  
და არსს ბრძოლისას მმობელს თვისას ხალხს დაანახვებს  
და გამოარჩევს დიდთა შორის კაცს არანაკლებს;  
„აგერა-კაცი“, იტყვის იგი და ხელს მიაშვერს  
სერვანტეს ჩვენსას, მამას ჩვენთვის, დავით კლდიაშვილს.  
და დასძენს წყნარად: „ლხინად უჩნდათ მსგავსნი თამაშნი  
უხორცოსაებრ იყვნენ როსმე კაცი მამაცი“,  
და რა ქნას ერმა, რა გაანყოს, არ ყავდეს ოდეს  
ქომაგი მსგავსი გაფოფრილი მიმინო კორდის?

## მუჰამან ლეჰანიქა



მუზეუმი



## ... კოწია!

მუზეუმი წარმოუდგენელია კონიას გარეშე. ჯერ კიდევ დავითის მამის, სამსონის სიცოცხლეში მოიკიდა ფეხი კონიამ კლდიაშვილების მამულში და ცხოვრების უკანასკნელ დღემდე მსახურობდა იქ. რას არ აკეთებდა: დარაჯიც კონია იყო, ამხელა სასიმიინდე ყანას ამუშავებდა, „სამსონის“ ყურძენს (ასეთი ჯიშიც კი ყოფილა სიმონეთში) უვლიდა, უვლიდა ყველაფერს, იცნობდა ყველას და განუყოფელი ნაწილია კონია ამ დიდი მწერლის ოჯახისგან. კლდიაშვილების ოჯახის, მათი წევრების ისტორია ხომ იცოდა, ყველას პირადად იცნობდა. როდესაც გოგის, დავითის უმცროს ვაჟს იგონებს, განსაკუთრებული სიტბო და სინანული ეტყობა, იხსენებს „– ჩემი კბილა იყო...“, გოგი ხომ სამამულო ომიდან შინ არ დაბრუნებულა. კონია დოღონაძეა.

ბევრი დაუკარგავს ვინც კონიას არ იცნობდა. თუმცა, ყველა ჩვენგანის მოგონებებში არსებობდა ვიღაც მსგავსი პიროვნება. კონია იყო კაცური კაცი! ისე გარდაიცვალა, რომ მისთვის არ არსებობდა არავითარი კანონი, არავითარი ბრძანება, პარტია, ის მშობლიური პარტია ყველას რომ გვზრდიდა და მივყავდით წინ გამარჯვებისკენ. მისი საქმე და საზრუნავი იყო მისი ოჯახი, ხარე-

ბი, სიმინდის ყანა, ვენახი, დამყნა, ტყის გამოხ-  
შირვა და ათასი მსგავსი რამ. ყველანაირად ბუ-  
ნებასთან იყო დაკავშირებული. ზეპირად იცოდა  
როგორ მთვარეზე რა უნდა გეკეთებინა ან არ  
გეკეთებინა. ხუთი შვილი გაზარდა, მათ შორის  
ერთი, ძალზედ ახალგაზრდა დაელუპა, უბედუ-  
რი შემთხვევით. შვილიშვილებს და მათ შვილებს  
მოესწრო კონია, მაგრამ ის ტკივილი მუდამ ჰქონ-  
და. ეჭვი ჰქონდა - მომიკლესო და ეს იყო მისთვის  
ყველაზე შეურიგებელი ამ ცხოვრებაში.

ეჰ, ჩემო კონო!

ყველი ამოყავდა, ჭადს აცხოვრდა და ხელზე  
რომ შეგეხედათ - ჭუჭყიანი გეგონებოდათ. ეს იყო  
სასწაული, ერთი ჭიქა წყალიც კი იყო საკმარისი,  
რომ ხელი გადაეხანა. აბა რა ჭუჭყი შეიძლება მი-  
ნის მუშას, გლეს კაცს რომ ჰქონდეს. ქვეყნიერება  
იცნობდა კონიას. განსაკუთრებით მწერლობა და  
ხელოვანი ხალხი. კინოფილმში („არ დაიდარდო“)  
მიიღო მონაწილეობა, გიორგი დანელიამ გადაი-  
ღო. სერგო ზაქარიაძე და ასეთ და ასეთი სიმალ-  
ლის ადამიანებთან ჰქონდა საქმე. ჭინკებიო, ეკ-  
ლესიაზე სულები დადიანო ლამელამობითო და რა  
ვიცი.. გვაშინებდა ბავშვობაში. ძნელად თუ დაი-  
ჯერებ ადამიანი, მაგრამ კონიამ ზეპირად იცოდა  
რამდენი ძირი, ვენახს თავი დავანებოთ, ადვილი  
დასათვლელია, სიმინდი, რამდენი ცალი კვახი

ჰქონდა. რომელ ხეზე რამდენი ხილი ესხა. დამი-  
ჯერეთ - არაფერს არ ვიგონებ. ღამე შევიპარე-  
ბოდით, ან ვინმე ერთ-ორ ტარო სიმინდს მოტეხ-  
და ყანაში და ამ დალოცვილმა უკვე იცოდა! - შენ  
შეგჭამა მამალმა მგელმაო! ეს იყო მისი განუყრე-  
ლი სიტყვები, როდესაც ან საქონელი გადმოვი-  
დოდა მის მინაზე, ან კიდევ ხარი არ დაუჯერებდა.

...მამალი მგელიო!.. კონიას კაცობა, მისი ბუ-  
ნება და მისი გაბრაზება რომ გაიგო ერთს ვიტყვი:  
მგელი რომ მგელია, მართლაც რომ შეხვედროდა  
აუცილებლად საჭმელს მიანვდიდა. ერთი თვისება  
ჰქონდა, რომლის არ გახსენება არ შეიძლება – უყ-  
ვები რალაცას, ახსენებ ვინმეს... „- უი, რავა არ მახ-  
სოვს, 12 იყო მაისის, ხუთშაბათი დღე იყოო!“ გადი-  
რევი კაცი, საიდან იმახსოვრებდა ამდენ და ამდენ  
სახელებს, გვარებს, თარიღებს, თანაც ზუსტს. გა-  
დირევიც – მისი სიტყვაა, სტაქანიო, სტოლიო.. ნუ-  
ლებს კერავდა. მთელი სოფელი უკვეთავდა. კერა  
და კერა ნულები კონიამ, სანამ შეეძლო. ხეხილის  
ხე არ ყოფილა ზედ რამდენიმე ნაყოფი რომ არ  
შეერჩინა, იცით რატომ - ზამთარში ფრინველები  
ჭამენო! ნალდი, ნაჯახი „- ხელი არ ახლოთ, ახალი  
აღესილი პირი აქო!“ გამარგვლა, გამოროდება..,  
რამდენი ასეთი სიტყვა, როგორ გადმოგვცემდა  
წინაპრების ამბებს, თვეების სახელებს, ყრუანტე-  
ლი გაგივლის ტანში, როდესაც იგონებ. კიდევ ერ-

თი რამ: ჭადი და ყველი დევს მაგიდაზე, ჭამე რამ-დენიც გინდა, მაგრამ კონია ყველაფერს აკვირდება, იცის ყველაფრის ფასი და გეუბნება, გეუბნება სხვათაშორის: „- ბევრი ჭადი უნდა ჭამო და ცოტა ყველიო!“ ყველიც მისი ამოყვანილია და ჭადიც მისი გამომცხვარია ბუხარში.

გახსოვს ჩემო კონო - თაში (ასე გამოთქვამენ იმერეთის ზოგიერთ სოფელში - მთას) რუსის, უფრო სწორედ საბჭოთა ჯარი რომ იდგა და ისროდნენ და აფეთქებდნენ იქაურობას. მაგრამ როდესაც სოფელში ჩამოვიდოდნენ, ორორი ან სამსამი და დაინახავდი რას ამბობდი: „- ებიჭო, დავალევინოთ ახლა მაგათ არაყი, მაგისთვის არიან ჩამოსულუბიო.“ მაშინ ვინ გაარკვევდა ვინ იყო რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, ქართველებიც ხომ იყვნენ მათ შორის, ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის.

„წვეიდე“ ჩემო კონო, ის რუსები, წვეიდე, მარა ვაი მაგათ წასვლას...

დაპატარავდა საქართველო კონო! გახსოვს ოსი კაცი, ჩამოსიძებული რომ იყო ჩვენს სოფელში, ხოდა აი იმ ოსის სამშობლო და ჩვენი მიწაწყალი ეხლა რუსებს ეკუთვნის. ის ქალიც ხომ გახსოვს, აფხაზმა რომ წაიყვანა და მე მგონი, გუდაუთაში ცხოვრობდა, ის აფხაზეთიც რუსებს ეკუთვნის. „კი, მარა, რატომო იკითხავ?“ მაქვს მაგის პასუხი მაგ-

რამ შენს სახელს ვერ დაფუკავშირებ, ჩემო კონო.

როგორი სტუმრები გვყავდა? – გიორგი გეგეჭკორი, ბუხუტი ზაქარიძე, სესილია თაყაიშვილი, კარლო საკანდელიძე.. დიდი ქართველი ხელოვანი!.. ელდარ შენგელაია, ჯანსუღ კახიძე, რეზო ჭვიშვილი... აგერევა სათვალავი. ბატონი მიხეილ თუმანიშვილი, მთელი თავისი დასით. ჩვენთვის და მაქაურობისთვის უძვირფასესი ქალბატონი მაკა ჯოხაძე. ბევრი გამომრჩება და არ მინდა ვანყენინო მათ სახელებს, შემდეგში მათ სათითაოდ უნდა დავუთმო სათანადო წერილი, ისინი ყველანი გამორჩეული ქალბატონები და ბატონები არიან და იმსახურებენ განსაკუთრებულ პატივისცემას.

შენმა სახელმა და ნაშიერმა გაიხაროს, ჩემო კონო! მე, ჩემი მხრიდან, ჩემი შვილებიც და მათი შვილებიც მოგიგონებენ, გადავა მათზე ისევე როგორც აქამდე გადმოვიდა..!

ეს წერილი ჩემო კონო, დავწერეთ თინამ, ხომ გახსოვს გამთენაძის ქალი, ქუთაისიდან რომ მოდიოდა სამსახურში, ისევე ისეთი სიყვარულით გიხსენებს, როგორც ახსოვხარ - შენი ფრიალა, თეთრი ქუდით და მე.

**დავით გოცირიძე**





სამაგისტრო 1967

ბ. სიმონეთი -  
 დ. ქობულაშვილის სხვა-სკოლა.  
 19<sup>თი</sup> 62<sup>წ.</sup>

1) ფელსი 400გ. 2) ექვილი ყვითელი. 3) ვიტი პოლიეთი.  
 4) ნეკრასი 400გ. 5) ლობიანი 400გ. 6) ხიზი 200გ. 7) ჯიხვი სუნიანი.

ბუნთაშვილის მუხრანის  
 მუხრანის  
 № 4383

## სიმონეთი - კლდიაშვილები

სიმონეთის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის მინაშენის ფასადში ჩატანებულია შემდეგი ნუსხურნარევი კუთხოვანი ასომთავრული წარწერა: ქნ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეინყალ)ე სოფელი **სო მ ი ა ნ ე თ ი**. ეს და ეკლესიის სხვა წარწერები დათარიღებულია XI საუკუნით. (დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ „მეცნიერება“ თბილისი 1980.) სომიანეთი ასე წოდებულია სიმონეთი, მაგრამ ეკლესია აგებულია არა უადრეს XIV-XV საუკუნეებისა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ეკლესიის კედლებში, რამოდენიმე წარწერიანი ქვა უკუღმად არის ჩატანებული, ვინაიდან ასომთავრული უკვე აღარ არსებობდა. საინტერესო გახლავთ ის გარემოება, რომ უნაგირას მთის მარჯვენა მწვერვალზე გახლავთ უძველესი ეკლესიის ნანგრევები და სწორედ აქედან ჩამოტანილი, უკვე გამზადებული ქვებითაა აგებული ამჟამინდელი წმ. გიორგის ეკლესიაც. ამის შესახებ თავად სოფელში არსებული ზეპირი გადმოცემებიც მეტყველებენ. აქვე ავლნიშნავთ, რომ იმ, უნაგირას ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერები და სხვა

ჩუქურთმიანი ქვებიც თარიღდება IX საუკუნით (ვ. სილოგავა.) საინტერესოა ისიც, რომ უნაგირას ეკლესიის ნანგრევებს დღემდე “ნასაყდრებს” უწოდებენ. თავის მხრივ კი ნასაყდრებად წოდება სრულიად გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისიდან თბილისისკენ მიმავალი გზა თავის დროზე სწორედ აქ, უნაგირას მთის ქედზე გადიოდა და თავად სიტყვა საყდარი - ს უმთავრესი მნიშვნელობაც შეესაბამება მის დანიშნულებას. არაჩვეულებრივი ხედია უნაგირას მთიდან, – თვით ქუთაისიც კი მოჩანს. საოცრად ლამაზი ხედია აგრეთვე საირმის მხარეს – თითქოს ერთ სიმაღლეზე იმყოფებოდე. გრიგოლ რობაქიძის იმერეთი მოჩანს აქედან.

სვიმონეთი – ასე ეწოდება სიმონეთს 1560-იანი წლებიდან. (თარიღი არ მახსოვს) ნყალობიდან, რომელიც იმერეთის მეფემ გიორგი II უბოძა ვინმე შალიკაშვილს და მის მემკვიდრეებს დათიკას და კლდიას და სწორედ ამ კლდიას-შვილებიდან მოდის ეს გვარი – კლდიაშვილი. ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანია ამ „ნყალობის“ შესწავლა და მისი აღდგენა, ვინაიდან, მასში დანგრელებითაა აღწერილი, თუ რატომ, რა დამსახურებისათვის უბოძებს მეფე კლდიაშვილებს „სოფელ სვიმონეთს, მის საერო და სასუ-

ლიერო გამგებლობას.“ ეს დოკუმენტი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში გადანერილი საბუთის სახით. (სამწუხაროდ, არ მახსოვს ყველაფერი.) სიმონეთი, როგორც დღევანდელი სახელი, ჩანს XVIII-XIX საუკუნეებში უნდა ვეძებოთ. სიმონეთი მოიცავდა უზარმაზარ მიწანყალს – ძვერიდან დაწყებული, ქვედა სიმონეთს, ეწერს, ბარდუბანს, ნახშირღელეს უნაგირას მთის ჩათვლით. აქვე აღვნიშნავ, რომ უნაგირას მთის სამხრეთი ფერდი დღემდე იწოდება სამსონისეულად, სამსონის ყანებად, (დავითის მამა) და იქ მართლაც თვალნათლივ ეტყობა ნამოსახლარს და საყანე მიწებს. არ ვიცი დღემდე თუ არსებობს, მაგრამ წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლოს ზარი სიმონეთის სკოლაში იყო გადატანილი. (სასურველია ეს ზარი დაუბრუნდეს სამრეკლოს და საერთოდ ყურადღება მიექცეს ამ უიშვიათეს ძეგლსაც). სულ ეს რაც ვიცი სიმონეთისა და კლდიაშვილების შესახებ.

თავად მუზეუმის შენობა: ამჟამინდელი შენობა სრულიად რესტავრირებული და აღდგენილია. ძველი ნაგებობა, რომელიც სამსონმა, დავითის მამამ შეიძინა 1850-იან წლებში, სხვაგან და მანდ ააშენა, ძალზედ იყო დაზიანებული. 1947 წელს გადაწყვიტეს მუზეუმის შექმნა. სულ რაღაც ორ წელიწადში 1949 წელს საზეიმოდ გაიხსნა მუზე-

უმი, რომლის სულისჩამდგმელი და მისი პირველი დირექტორიც გახლდათ დავითის ქალიშვილი – ნინო (ნუცა) კლდიაშვილი-გოცირიძისა.

1977 წლიდან, როდესაც ქალბატონმა ნუცამ ვეღარ შესლო მუშაობის გაგრძელება, რაიონის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მიიღო ჩემთვის სრულიად მისაღები და ძალზედ საყურადღებო გადაწყვეტილება: მიმართა მემკვიდრეებს, რომ გაეგრძელებინათ საგვარეულო საქმე. ჩემდა საბედნიეროდ, მსურველი მხოლოდ მე ავლმოჩნდი. ჩემი ოჯახით ჩავსახლდი სიმონეთში და გავაგრძელე ეს კეთილშობილი საქმე, რის გამოც უდიდესად მაღლიერი ვრჩები. აღდგენითმა სამუშაოებმა ორი წელი გასტანა. რესტავრაციის დროს ჩვენი მიზანი იყო აღგვედგინა XIX საუკუნის კარ-მიდამო, მუხის მასალა მუხით შეგვეცვალა, ნაბლისა კი ნაბლით. აქვე მინდა: – მუხის მასალა აჯამეთის ტყიდან მოვიტანეთ, ნაბლისა კი ჩხორონწყუს რაიონმა გვაჩუქა. ხელოსნები, ანუ დურგლები, სამი რაჭველი გახლდათ. არ შემოძლია ისინი არ მოვიხსენიო. იარაღებიდან ჰქონდათ მხოლოდ – ნაჯახები და რა ნაჯახები, ხელის ხერხი, შალაშინი და ჩაქური. თლიდნენ ხის ძელებს და ფიცრებს ნაჯახით, ისე, რომ ადამიანი ვერც კი



პირველი ნათურა სიმონეთში. დავით კლდიაშვილის ეზო.  
მხ. გიორგი (გოგი) გოცირიძე. დავითის შვილთაშვილი

გაასალაშინებს რომ მოინდომოს. ისე მშვიდად, ისე ძალდაუტანებლად და მსუბუქად მუშაობდნენ, რომ მხოლოდ მათი ხილვა უკვე რაღაც არაჩვეულებრივ და უცნაურობის განცდას იწვევდა. ლურსმანი, რომ ლურსმანია ის არ უხმარიათ, ისე ააშენეს ამხელა შენობა და როგორც წესია: კრამიტის დაგების წინ, გოგნის გადებისას თოფიდან გავისროლეთ. კრამიტები სოფელ სიმონეთშია მოგროვილი, სრულიად უსასყიდლოდ, 6 ათას 200 კრამიტი ახურავს მუზეუმს.

1982 წელს, მწერლის 120 წლითავისთვის მუზეუმი, მისი შემოგარენი, გამოფენა და ყველა ნივთის და ავეჯის რესტავრაცია მზად იყო. წლების მანძილზე ექსპონატების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, გამდიდრდა. ამას მოყვა მუზეუმის ეზოში დავითის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული პიესების ღია ცის ქვეშ დადგმა. რომელი ერთი ჩამოგიტვალოთ: რუსთაველის თეატრი, ქუთაისის ოპერიის თეატრი, მიხეილ თუმანიშვილის თეატრი, მეტეხის თეატრი, მხატვრული ფილმის – „სამანიშვილის დედინაცვალის“, გელა კანდელაკის ფილმის „უბედურება“ ჩვენება და რა ვიცი რამდენი სხვა რამ. ვაწყობდით “სიმონეთურ შეხვედრებს“, რომლის დროსაც ჩვენს მიერვე ამორჩეულ პიროვნებას გადავცემდით ვერცხ-

ლის „ძელქვის ფოთოლს“, დავით კლდიაშვილის ხელმოწერილ. ეს მცირედი საჩუქარი გათვალისწინებული იყო იმ შემომქმედისადმი, რომლის შემოქმედებაც შეესატყვისებოდა დავით კლდიაშვილის მოკლე გამონათქვამს – „სინამდვილე და მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც ვემსახურებოდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე“.

ასეთია სინამდვილე, რომლითაც მე, ჩემი ოჯახი და მუზეუმის ყველა თანამშრომელი ვემსახურებოდით ქართული მწერლობისა და კულტურის ამ კერას.

**დავით გოცირიძე**



## დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილს, რომ სულ არაფერი და-  
ენერა, მისი ცხოვრება და საზოგადოებრივი  
მოღვაწეობა იმდენად სანიმუშოა, ალბათ, სას-  
კოლო სახელმძღვანელოში მაინც უნდა იყოს.  
სამხედროს, მეფის ოფიცერს, მთელი ცხოვრე-  
ბის მანძილზე, ერთი წამითაც არ დავიწყნია,  
თუ რას ნიშნავს იყო ქართველი. საოცარია მი-

სი ერთგულება ქვეყნისადმი, თავმდაბლობა,  
კაცთმოყვარეობა, გაჭირვებულზე ფიქრი და  
ზრუნვა. მწერლის მემუარების არაჩვეულებრი-  
ვად მგრძნობიარე ენამ, შემოგვინახა მოგონე-  
ბები დიდი ვაჟასა და აკაკის შესახებ, ბათუმისა  
და ქუთაისის ისტორია და სხვა მამულიშვილე-  
ბის უკვდავი სახეები. საოცარი პიროვნება გახ-  
ლდათ დავით კლდიაშვილი. როდესაც მწერალი,  
ლიტერატორი მაკა ჯობაძე თავისი შემოქმედე-  
ბის უდიდეს ნაწილს უთმობს დავით კლდიაშვი-  
ლის შემოქმედებას და აქვეყნებს ნაშრომს „ჩემი  
დავით კლდიაშვილი“ უნდა ვიფიქროთ, რომ მან  
აღმოაჩინა მისთვის რაღაც ძალზედ ახლობელი,  
სულიერად ახლობელი, სხვაგვარად შეუძლებე-  
ლია იხმარო სიტყვა – ჩემი. აქ, თითქოს რაღაც  
საიდუმლო უნდა იდოს. სინამდვილეში კი, ამ სა-  
იდუმლოებას მხოლოდ ისეთივე სიყვარულით და  
სინამდვილის დანახვით თუ აღმოაჩენ, როგორც  
მწერალი გადმოგვცემს.

ჩვენთვის კი დავით კლდიაშვილი, მისი მომ-  
ლიმარე სახე, რომელიც ამ ფოტოზეა აღბეჭდილი  
ჭეშმარიტი ქართველის სახეა. ეს იშვიათი ფოტო  
ამოღებულია დიდი ქართველი რეჟისორის კოტე  
მარჯანიშვილის მიერ, 1930 წელს, გადაღებული  
ნახევარ წუთიანი დოკუმენტური კინო ფირიდან.



1919წ. მარცხნიდან: კ. დათეშიძე, ქუთაისის ქალაქის თავი ლ. კალანდარიშვილი, გენერალი დ. ართმელიძე, გენერალი ფონ კრესი (ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი), ტ. ვაშაკიძე, ბარონი გამში, პოლკოვნიკი მწერალი დავით კლდიაშვილი.

## ბოლოთქმა

მე ახლა ესპანეთიდან გამოგზავნილი იმ წერილის ფრაგმენტები მინდა გაგაცნოთ, რომელიც გოცირიძეების რძალმა, მშვენიერმა და ნიჭიერმა ჟურნალისტმა ქალმა ეკა სარალიძემ მომიტანა რედაქციაში:

„გამარჯობათ, ქალბატონო მაკა!

მე არ მიცნობთ პირადად, მაგრამ თქვენ, თქვენი ხელოვნების დიდი ნაწილი დათმობილი გაქვთ დავით კლდიაშვილის პიროვნებისადმი, მისი შემოქმედებისადმი. მე კი, დავითის შვილიშვილი, ოდესღაც მისი სახლ-მუზეუმის დირექტორი გახლავართ – დავით (დათო) გოცირიძე. აქედან დაწყებული, თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

როგორ ბრძანდებით ქალბატონო მაკა? ვიმედოვნებ, უძლებთ „ჟამობის ხანს“. რატომ განუხებთ: გაისად 150 წლისთავია ჩვენი საერთო დიდი წინაპრის. აზრად მომივიდა გამოიცეს რაღაც განსაკუთრებული, პატარა წიგნი, სადაც თავმოყრილი იქნება რამოდენიმე მნიშვნელოვანი წერილი დავითის შესახებ.. ვიფიქრე: თავი მოვუყაროთ გრიგოლ რობაქიძის წერილებს; პაოლო იაშვილის და მურმან ლებანიძის ლექსებს; რამოდენი-

მე საინტერესო ფოტოს; თავად დავითის ორიოდვე ხელნაწერს და... ა.შ. აქ უმთავრესი და შესავალი ცხადია მხოლოდ თქვენი უნდა იყოს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ – ეს გახლავთ ჩემი პირადი აზრი და სურვილი. მე მწერლობისა არაფერი მესმის და ამდენად, თქვენი მოსაზრება გადანყვეტს ყველაფერს. აი ასეთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

მე კარგად მესმის, რომ ეს შრომას, დროს და რაც მთავარია სურვილს ანუ „ჩემი დავით კლდია“ ანუ „აქვე განწყობას მოითხოვს. მე მზად ვარ გემსახუროთ.

პატივისცემით **დათო გოცირიძე**  
ბილბაო. 13.09.2011.

ვფიქრობ ყველა თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთ ჩემი რძალი ეკა სარალიძე. მითუმეტეს, რომ ეხლახან იმყოფებოდა სიმონეთში.

\* \* \*

ისეთი სიტბო და სიყვარული ჩამეღვარა გულში, დიდი ხნის უნახავი ძვირფასი ადამიანის შეხვედრისას რომ უჩნდება ადამიანს.

ასეა, კლდიაშვილები, გოცირიძეები, მათი გენი და მონაგარი ისეთივე ახლობელი, მშობლიურია ჩემთვის, როგორც ჩვენი „საერთო დიდი წი-

ნაპარი“ – ჩემი დავით კლდიაშვილი. ერთბაშად გამიცოცხლდა ყოველი წუთი, სიტუაცია, დრო და სივრცე ამ საოცარი მწერლის შემოქმედებასთან შეხვედრამ რომ მომიტანა, ჩემი ახალგაზრდობის ადრეული გარიჟრაჟიდან დღემდე.

ამ პანია ბარათის ყოველი სიტყვა კრძალვითაა დაწერილი. უკვე მერამდენე წელია სამშობლოდან შორს წასული და გამუდმებით სამშობლოს განცდით შეპყრობილი კაცის სიყვარულითა და სევდითაა სავსე.

სიტყვა არაა ნახსენები, მაგრამ ამ ბარათმა ჩვენი უახლესი ისტორიის, 90-იანი წლების ავბედითი, ტრაგიკული დღეებიც დამიყენა თვალწინ, ღირსებით აღსავსე კაცის – ირაკლი გოცირიძის ხატებაც, რომელმაც იმ წლებში სულის საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა და კერკეტა ხასიათით ასე მიემსგავსა თავის ბაბუას – დავით კლდიაშვილს.

და აი, ირაკლი გოცირიძის ვაჟი და დიდი ბაბუის სეხნია დათო გოცირიძე ისევ ზრუნავს და ისევ დავით კლდიაშვილის ხსოვნას უტრიალებს!

რამდენი სტატია, წერილი, ესეე, რამდენი გამოკვლევა, წიგნი, ინტერპრეტაცია დაწერილა და დაინერება მომავალში დავითზე...

მაგრამ ეს პანია წიგნი მგონია რომ მაინც სხვა იქნება... ეს წიგნი ხომ დავითის შვილთაშვილის,

მისი მემკვიდრის ფიქრით, დარდით, ღირსების გრძნობით და ურთულესი ცხოვრებისეული გამოცდილებით შედგენილი წიგნია, მისი არჩევანია.

„მწერლობისა არაფერი გამეგებაო“ – ამ სიტყვებში გენეტიკური თავმდაბლობა ილანდება, და გუმანი მკარნახობს, ჩემთვის როგორც რედაქტორისთვის მონიჭებული სრული თავისუფლება ბოროტად არ გამოვიყენო, წიგნის პერსონაჟები და დრამატურგია არ შევცვალო. ბოლო თქმის გარდა არც არაფერი მივუმატო და არც არაფერი გამოვაკლო.

რადგან ვფიქრობ რომ ამ პანია წიგნის განსაკუთრებულ ხიბლს ის ინტიმიც განაპირობებს, მასზე დიდი მწერლის შვილთაშვილმა დავით გოცირიძემ რომ იმუშავა, მეორე შვილთაშვილის გიორგი (გოგი) გოცირიძის ნახატებითა და გენოკლდიაშვილის ლექსებით რომ დამშვენდა. ეს დათო გოცირიძემ იზრუნა, რომ დიდი მწერლის საპატივსაცემოდ ერთად შეყრილიყვნენ როგორც სულისმიერი, ისე სისხლისმიერი ნათესავები და მეგობრები.

ისეთი განცდა მაქვს დავით კლდიაშვილის შვილთაშვილმა კიდევ ერთხელ მოგვიწვია იმერული სილამაზითა და ესთეტიზმით გამორჩეულ

კარმიდამოში, პენითა და უშურველად გაშლილ ქათქათა სუფრასთან.

მიიწვია დიდი მწერლის (დიდი ბაბუის) მრწამსისა და მსოფლალქმის ერთგული ადამიანები, პიროვნებები, მოღვაწეები, რომელთა სიცოცხლე და ცხოვრების გზა ასე იმეორებს საკუთარი სამშობლოს ბედს, მისი სიცოცხლისა და ცხოვრების გზას, აღსავსეს ცრემლით, დიდი ტკივილითა და... მიტევევებით.

პირადად ჩემთვის კი, რა თქმა უნდა, დიდი პატივია ამ სუფრის რიგით წევრად ვითვლებოდე. სიხარულითა და ერთგვარი სიამაყით ვაფასებ კიდევ ამ კომბინაციით შერჩეული თანამეინახეთა გვერდით გატარებულ ყოველ წუთსა და ყოველ წამს. რადგან, ვიცი, რომ ამ წარმავალ წუთისოფელში სიყვარულის გარდა ჩვენ ერთმანეთისა არაფერი გვმართებს.

დავით კლდიაშვილი კი ჩვენი მარადიული მასპინძელია.

**მაკა ჯონაძე**





კლდიაშვილების საგვარეულო ღვთისმშობლის ხატი.

## სარჩევი

შტრიხები პორტრეტისთვის -----	5
გრიგოლ რობაქიძე - წერილები -----	18
დავით კლდიაშვილი -----	43
მტვრიანი გზებისა და ორღობების რომანტიკა -----	43
ო ფ ო რ ტ ი -----	46
დავით კლდიაშვილის ეზო -----	49
უკვდავება -----	52
დავით კლდიაშვილი -----	53
... კოწია! -----	57
სიმონეთი – კლდიაშვილები -----	63
დავით კლდიაშვილი -----	70
ბოლოთქმა -----	73

**„მარადიული მასპინძელი“**

ავტორ-შემდგენელი – დავით გოცირიძე

გამომცემლობა „ივერიონი“.

თბილისი, კოსტავას ნ. სართ III.

ტელ: 293-53-22

**Email: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge)**



ქ. წმიდათ ვიარკვი შეიწყადე სოფელი სომიანეთი